



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/627

21 / მაისი / 2019 წ.



KA000057750350819

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება TOYOTA DUTRO-ს (სარეგისტრაციო ნომერი MCM 065, გამოშვების წელი - 1999) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, N669 დადგენილების შესაბამისად და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2018 წლის 31 ოქტომბრის N20/69 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება TOYOTA DUTRO-ს (სარეგისტრაციო ნომერი MCM 065, გამოშვების წელი - 1999) პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება TOYOTA DUTRO-ს (სარეგისტრაციო ნომერი MCM 065, გამოშვების წელი - 1999) სანყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 920.00 (ცხრაასოცი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 184.00 (ასოთხმოცდაათი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 92.00 (ოთხმოცდათორმეტი) ლარით.

მუხლი 3. განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2019 წლის 24 მაისის 15:00 საათიდან, 2019 წლის 07 ივნისის 15:00 საათამდე.

მუხლი 4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუხლი 5. საპრივატიზებო მოძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუხლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია დაფაროს სატრანსპორტო საშუალების გადაფორმებასთან/ჩამონერასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

მუხლი 9. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

- ა.) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.
- ბ.) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 10. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი:

TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423332 (შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან).

მუხლი 11. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.

მუხლი 12. უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო მოძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე www.poti.gov.ge.

მუხლი 13. წინამდებარე ბრძანების სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს ქონების მართვის განყოფილებამ, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე www.poti.gov.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.


მუხლი 14. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუხლი 15. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

მუხლი 16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 17. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემენტრონულად 

გონა კურდღელია